



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### დუმაცხო

დაუმაცხო, სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), მთიულეთის ქედის აღმ. კალთაზე, გუდამაყრის ხეობაში. ზ. დ. 1600 მ, დუშეთიდან 60 კმ. 21 მცხ. (2002).

ი. გიულდენშტედტი (1772) დ-ს იხსენიებს გუდამაყრის სოფლებთან. სოფლის თავში მდებარეობს ადრინდ. შუა საუკ. ნასოფლარი, გვიანდ. ხანაში აქ მშრალად ნაწყობი კლდის ქვით აუშენებიათ ზეგარდის წმ. გიორგის საქვაბე – თუნუქით გადახურული, სამ. სიდიდის, გეგმით ოთხკუთხა ნაგებობა. ძვ. ნასოფლარის შენობები ნაგებია მსხვილი ლოდებით, მშრალი წყობით, არის როგორც ტერასული, ისე ციხე-სახლები. შემორჩენილია დიდი მოცულობის დარბაზი და ბურგიანი კოშკის ნაშთი.

ნასოფლარის აღმ-ით, ბურსაჭირისაკენ მიმავალ გზაზე, დაახლ. 400 მ დაცილებით, ბურგიანი კოშკის ნანგრევებია. ბურგიანი კოშკის ნაშთია აგრეთვე ნასოფლარის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 500 მ-ზე. დ-ს ჩრდ.-დას-ით, 1,5 კმ დაშორებით, მდებარეობს გვიანდ. შუა საუკ. ზეგარდის წმ. გიორგის ეკლესია.

დარბაზული ტიპის, გეგმით ოთხკუთხა უაფსიდო ნაგებობას აღმ. კედელში ვიწრო სარკმელი აქვს დატანებული. ეკლესიის შესასვლელი სამხრ-იდანაა. შიგნით და გარედან შელესილია.

**ჟ. გვასალია**

**ი. ნიკლაური**

---